186
1971/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 3

მაისი—ივნისი

1971 წ.

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი-ივნისი 1971 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

41. მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მოწყობის შესახებ

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

42. მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

43. სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების დასაჯილდოებლად არსებული პრემიების საერთო რაოდენობის გადიდების შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

44. სოფლის ჯგუფური წყალსადენებისათვის ტარიფების დამტკიცების შესახებ
45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 20 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
47. რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მათი რაციონალურად განლაგების ღონისძიებათა შესახებ
48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
49. ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და საწარმოო სიმძლავრეთა (ფონდების) გამოყენების შესახებ
50. შრომისუნარიანი ასაკის არამომუშავე და არამოსწავლე მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის შესახებ
51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 აგვისტოს № 530 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
52. ქალაქების, დაბებისა და დასახლებული პუნქტების გაზმომარაგების უსაფრთხოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

## 41 მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მოწყობის შესახებ

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაცია მართვის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ავტომატიზებული სისტემების ფართოდ გამოყენების დარგში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული კურსების პროგრამა და მუშაობის გეგმა;

ბ) გაითვალისწინოს კურსების მუშაობის განხორციელება სამეურნეო ანგარიშზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამასთან დააწესოს ერთი მოსწავლის სწავლის ქირა 50 მანეთის ოდენობით;

გ) დააწესოს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით კურსებზე გასაგზავნ სპეციალისტთა ყოველთვიური კონტინგენტები იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ჯგუფი დაკომპლექტდეს 25 კაცის ფარგლებში.

3. დაწესდეს კურსებზე სწავლის საერთო ხანგრძლივობა ერთი თვის განმავლობაში ექვსდღიანი სამუშაო კვირით.

სწავლება მოეწყოს ისე, რომ მსმენელები მოწყვეტილ იქნან ძირითად სამუშაოს.

4. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საჭირო დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შექმნილი კურსებისათვის საჭირო პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის შერჩევაში.

5. სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა დირექტორებმა:

ა) შეიმუშაონ და 1971 წლის 15 ივნისამდე დაამტკიცონ იმ სპეციალისტთა პერსონალური სიები, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან კურსებზე 1971 წელს,

ამასთან გაითვალისწინონ, რომ პირველ რიგში გაიგზავნონ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები, მთავარი ეკონომისტები, ხოლო შემდეგ — საამქროებისა და წამყვანი განყოფილებების უფროსები;

ბ) მტკიცედ შეასრულონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპეციალისტთა გაგზავნის გრაფიკი, რომელიც შეთანხმებული იქნება კურსების ხელმძღვანელობასთან.

6. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დირექციამ დროებით დაუთმოს მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს მეცადინეობის მოსაწყობად სამი ოთახი, ხოლო 10 ადგილი საერთო საცხოვრებელში სხვაქალაქელ მსმენელთა დასაბინავებლად.

7. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს 1971 წელს ხელფასის ფონდი 6 ათასი მანეთის ოდენობით კურსების შტატის თანამშრომლებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის ხელფასის მისაცემად, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა დამატებით შემოიღოს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შტატში ერთი ერთეული — დირექტორის მოადგილისა სამეცნიერო ნაწილში, ამასთან დააკისროს მას იმ სამუშაოს ხელმძღვანელობა, რომელიც ინსტიტუტში სრულდება მართვის ავტომატიზებული სისტემების ხაზით, აგრეთვე დააკისროს მართვის, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ავტომატიზებული სისტემების დარგში ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხების ხელმძღვანელობა.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა დაადგინოს წესი შესაბამისი მოწმობების მიცემისა მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელებისათვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან სწავლის კურსს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 მაისი, № 288

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 მაისის № 288 დადგენილების დანართი № 1

## შ ტ ა ტ ი

### საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ადმინისტრაციული პერსონალისა

| თანამდებობის დასახელება | თვიური განაკვეთი (მან.) |
|---|---|
| 1. დირექტორი | 120 |
| 2. მეთოდისტი | 95 |
| 3. სასწავლო კაბინეტის გამგე | 95 |
| ს უ ლ: | 310 |
| წლისათვის 310×12 = | 3720 |

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 მაისის № 288 დადგენილების დანართი № 2

## ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

### საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსების შესანახი ხარჯებისა

| | |
|---|---|
| მუხ. 1. პედაგოგთა ხელფასი | — 6,0 ათასი მანეთი |
| ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ხელფასი | — 3,7 ათასი მანეთი |
| სულ ფონდი | — 9,7 ათასი მანეთი |
| მუხ. 2. 5,5 პროც. დანარიცხი | — 0,5 ათასი მანეთი |
| მუხ. 3. სამეურნეო ხარჯები | — 1,0 ათასი მანეთი |
| მუხ. 5. სასწავლო ხარჯები | — 1,3 ათასი მანეთი |
| ს უ ლ: | 12,5 ათასი მანეთი. |

ხარჯები ერთ მოსწავლეზე — 12,5 ათასი მანეთი: 250 კაცი = 50 მან. ერთი მოსწავლის სწავლის ქირა — 50 მანეთი.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

## 42 მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1971 წლის 14 აპრილის № 222 დადგენილება „მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები, წყალთა და სატყეო მეურნეობის და გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოები მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრებით;

აამაღლონ სოფლის მეურნეობაში მექანიზატორთა შრომის ორგანიზაციის დონე, აგრეთვე მტკიცედ დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა მექანიზატორთა კადრების შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ;

გააუმჯობესონ მექანიზატორთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საველე ბანაკების, სასადილოების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას;

დაევალოთ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების (მომსახურების) ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები იმ ანგარიშით, რომ უახლოეს ორ წელიწადში გადავიდეს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები, წყალთა და სატყეო მეურნეობის და გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოები ამ ნორმებზე.

3. სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, გაერთიანება „სოფლტექნიკის“ განყოფილებები და სოფლის მეურნეობის, წყალთა და სატყეო მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრებით, — შექმნან ადგილებზე საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზა, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყოს მექანიზატორთა კადრების მომზადება ამ ბაზებში.

4. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინგენტით სოფლის მეურნეობის პროფტექნიკური განათლების სკოლები მექანიზატორთა კადრების მომზადების იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 24 ივლისის № 418 დადგენილებით.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გამოყონ საბაზრო ფონდების ხარჯზე მსუბუქი ავტომობილები და მოტოციკლები სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისათვის პირველ რიგში მისაყიდად.

„საქმთავარმომარაგებამ“ მოტოციკლების განაწილების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წინადადებების წარმოდგენისას გაითვალისწინოს ყოველწლიურად, 1972 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების, „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების და წყალთა მეურნეობის მექანიზაციის სამმართველოების საწარმოო უბნების მოთხოვნილება ამ მოტოციკლებზე.

6. დაევალოთ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ხელფასის დამატებითი ფონდის გაანგარიშება, მემანქანე ტრაქტორისტთა სატარიფო განაკვეთების გადიდებასთან დაკავშირებით, საკავშირო ორგანოებში წარსადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. დაევალოთ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ საკავშირო ორგანოების წინაშე დააყენოს საკითხი, რომ ყოველწლიურად გამოიყოს იმ საველე ვაგონების ფონდები, რომლებიც საჭიროა სატრაქტორო ბრიგადების მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და „სოფლტექნიკის“ განყოფილებების საველე ბანაკებში.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის“ საწარმოების მემანქანე ტრაქტორისტთათვის მოხუცებულობის პენსიების გამოანგარიშების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 20 აპრილის № 1522-VIII ბრძანებულების შესაბამისად, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ სსრ კავშირის 1956 წლის 14 ივლისის კანონის 53 მუხლს დაემატა მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსისა: „მოხუცებულობის პენსიები იმ პირებისათვის, რომლებმაც მემანქანე ტრაქტორისტებად იმუშავეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებში, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის“ საწარმოებში — მამაკაცებმა არანაკლებ 20 წლისა და ქალებმა არანაკლებ 15 წლის მანძილზე შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას, მათი სურვილისამებრ, მემანქანე ტრაქტორისტებად მუშაობის ზედიზედ ნებისმიერი ხუთი წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული ხელფასის მიხედვით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებმა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ კადრების, პირველ რიგში მექანიზატორთა კადრების შენარჩუნებას სოფლის მეურნეობაში, გააშუქონ პრესაში და კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებაში მიღწეული წარმატებები, აგრეთვე ყოველნაირად უჩვენონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა გაზრდილი ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონე, მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- | --- |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** | **თ. მოსაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 22 ივნისი, № 343

# სსკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 222

1971 წლის 14 აპრილი

## მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო აღნიშნავენ, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვანწილად წარმოადგენენ მექანიზატორთა მრავალრიცხოვანი არმიის აქტიური შრომის შედეგს, რომლებიც რთულ ტექნიკას დაეუფლნენ. მექანიზატორი ცენტრალური ფიგურა გახდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას" და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს:

მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოები მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრებით.

უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში მექანიზატორთა შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლება. უახლოესი ორი წლის განმავლობაში გადაიყვანონ ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოები გამომუშავების (მომსახურების) ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებზე;

უზრუნველყონ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მტკიცედ დაცვა;

გააუმჯობესონ მექანიზატორთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კეთილმოწყობილი საცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საველე ბანაკების, სასადილოების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების (დანართი № 2. ცხრილი 4) ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების, წყალთა მეურნეობის საწარმოების მემანქანე-ტრაქტორისტთა (გარდა მშენებლობაზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტებისა), სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის“ საწარმოების მემანქანე-ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურება წარმოებს სატარიფო განაკვეთებით დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაოს, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს მექანიზებულ სამუშაოთა ტარიფიკაცია, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა დაწესდეს იმ სამუშაოთა უფრო მაღალი თანრიგები, რომლებიც მძლავრი მუხლუხა ტრაქტორებით სრულდება.

მემანქანე-ტრაქტორისტებისათვის ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღება განხორციელდეს 1971-1972 წლებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვრონ აღნიშნული სატარიფო განაკვეთების შემოღების ვადები ქვეყნის რაიონებისა და ზონების მიხედვით.

3. დაუწესდეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების, წყალთა მეურნეობისა და „სოფლტექნიკის“ საწარმოების მემანქანე-ტრაქტორისტებს (მათ შორის იმ მემანქანე ტრაქტორისტებს, რომლებიც მუშაობენ სატრაქტორო, სატრაქტორო-მემინდვრეობის და კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებად და ბრიგადირების თანაშემწეებად, ამწყობ ოსტატებად) დამატებითი ყოველწლიური ფასიანი შვებულება მოცემულ მეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

ქვეყნის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის, ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის ყამირი რაიონების ადგილებში 3 წელზე მეტი მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის დროს — ორ-ორი სამუშაო დღე ყოველი შემდგომი წლისათვის, მაგრამ არა უმეტეს 6 სამუშაო დღისა;

დანარჩენ რაიონებში, 3 წელზე მეტი მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის დროს — თითო სამუშაო დღე ყოველი შემდგომი წლისათვის, მაგრამ არა უმეტეს 6 სამუშაო დღისა.

აღნიშნული დამატებითი შეღავათები მიეცეს იმ შეღავათების გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 96 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1965 წ. № 3, მუხ. 18) და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 იანვრის № 43 დადგენილების მე-5 პუნქტით.

მუშაობის სტაჟში, რომელიც იძლევა მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის დამატებითი შეღავათების უფლებას, ჩაითვალოს მუშაობის პერიოდი, დაწყებული 1968 წლის 1 იანვრიდან.

4. დაწესდეს, რომ მემანქანე ტრაქტორისტებს, რომლებიც დასაქმებული არიან მექანიზებულ სამუშაოებზე საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებში, წყალთა მეურნეობისა და „სოფლტექნიკის" საწარმოებში, მთელი ცვლის განმავლობაში გაცდენის დრო, რაც მათზე დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა, თუ შეუძლებელია მათი გამოყენება სხვა სამუშაოებზე, აუნაზღაურდებათ 1971 წლის 1 ივლისიდან დაწყებული მესამე თანრიგის იმ სატარიფო განაკვეთის ნახევრის ოდენობით, რაც დაწესებულია დროის მიხედვით მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტებისათვის.

5. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ იმ პირებისათვის მოხუცებულობის პენსიების გამოანგარიშება, რომლებმაც მემანქანე ტრაქტორისტებად იმუშავეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებში, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოებში — მამაკაცებმა არანაკლებ ოცი წლის და ქალებმა არანაკლებ 15 წლის მანძილზე წარმოებს მათი სურვილისამებრ, მემანქანე ტრაქტორისტებად მუშაობის ზედიზედ ნებისმიერი 5 წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული ხელფასის მიხედვით.

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი ბრძანებულებისა ამ საკითხზე.

6. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ განუვადოს, როგორც გამონაკლისი, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა 2 წლის ვადით მექანიზატორებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოვიდნენ სამუშაოდ სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ.

ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებს, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოებს აძლიონ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, რომლებმაც მექანიზატორებად დაიწყეს მუშაობა მეურნეობებში, დახმარება სამეურნეო მოწყობისათვის მესამე თანრიგის 3 თვის დროებრივი სატარიფო განაკვეთის ოდენობით, რაც დაწესებულია მემანქანე ტრაქტორისტებისათვის, ამასთან მიაკუთვნონ ეს ხარჯები სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. მექანიზატორი, რომელმაც არ იმუშავა 2 წელიწადს და შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით (საპატიო მიზეზების უქონლად) დათხოვნასთან ან შრომის დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით, ვალდებულია დაუბრუნოს საწარმოს მიღებული დახმარება.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შემოიღონ ანალოგიური წესი დახმარების მიცემისა სამეურნეო მოსაწყობად იმ პირებისათვის, რომლებიც დათხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი არიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან და კოლმეურნეობებში მოვიდნენ იმისათვის, რომ იმუშაონ მექანიზატორებად.

7. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 311 დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1966 წ. № 8, მუხ. 81) 1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 აპრილის № 296 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაუწესდეთ 1971 წლის 1 ივლისიდან მემანქანე ტრაქტორისტებს (მათ შორის იმ მემანქანე ტრაქტორისტებს, რომლებიც მუშაობენ სატრაქტორო, სატრაქტორო-მემინდვრეობის და კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებად და ბრიგადირების თანაშემწეებად) საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოებისა (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მდებარეობენ ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში, ყაზახეთის, ურალის და ვოლგისპირეთის ყამირ რაიონებში) მოცემულ მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟისათვის დანამატი წლიური ხელფასის თანხის შემდეგი ოდენობით: რომლებმაც განუწყვეტლივ იმუშავეს მოცემულ მეურნეობაში 3-დან 5-წლამდე — 8 პროცენტი, 5-დან 10 წლამდე — 10 პროცენტი, 10-დან 15 წლამდე — 13 პროცენტი, 15 წელზე მეტი — 16 პროცენტი.

8. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებს, წყალთა მეურნეობისა და „სოფლტექნიკის" საწარმოებს დაფარონ ის კრედიტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მაისის № 410 დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად ეძლევა მექანიზატორებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის 35 პროცენტამდე ოდენობით, ეკონომიური სტიმულირების ფონდების სახსრების ხარჯზე, თუ მათ იმუშავეს მოცემულ მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 5 წლისა და არიან წარმოების მოწინავენი.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შემოიღონ ანალოგიური წესი იმ კრედიტების დაფარვისა, რომლებიც კოლმეურნეობათა მექანიზატორებს ეძლევათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მარტის № 221 დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1964 წ. № 4, მუხ. 28) მე-7 პუნქტის შესაბამისად, კოლმეურნეობათა სათანადო ფონდების სახსრების ხარჯზე.

9. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების დირექტორებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მიჰყიდონ გაერთიანება „სოფლტექნიკის" მექანიზებული რაზმებისა და სატყეო მეურნეობის საწარმოების მემანქანე ტრაქტორისტებს, რომლებიც დასაქმებული არიან მექანიზებულ სამუშაოებზე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მარცვალი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები იმ წესითა და იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების მემანქანე ტრაქტორისტებისათვის.

10. გავრცელდეს გაერთიანება „სოფლტექნიკის" მექანიზებული რაზმების და სატყეო მეურნეობის საწარმოების მემანქანე ტრაქტორისტებზე „საბჭოთა

მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა შორის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1970 წლის 2 აპრილის № 227 დადგენილების 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის მოქმედება.

11. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების გამოყოფა საბაზრო ფონდების ხარჯზე პირველ რიგში სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისათვის მისაყიდად.

12. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ შესაძლებლობა მისცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებსა და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამხედრო მოსამსახურეთა შორის, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან, რათა მოზიდულ იქნან ისინი მექანიზატორებად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

13. იმისათვის, რომ უკეთ მოეწყოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკთა შორის უშუალოდ ბრიგადებსა და ფერმებში, დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ყოველწლიურად დაამზადოს, 1972 წლიდან დაწყებული, საქვეუწყებო საწარმოებში ხუთას-ხუთასი ავტოკლუბი (სატვირთო ავტომობილები შასიზე) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად, ამასთან დააკომპლექტოს ეს ავტოკლუბები კინოდანადგარებით, რადიოჟკანძებითა და მაგნიტოფონებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმების პროექტებში, რომ გამოეყოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ფონდების ხარჯზე ავტოკლუბების დასამზადებლად სატვირთო ავტომობილების ხუთას-ხუთასი საში წელიწადში.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტმა და კინემატოგრაფიის კომიტეტმა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობაში კადრების, პირველ რიგში მექანიზატორთა კადრების, შენარჩუნებას, გააშუქონ პრესაში და კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებაში მიღწეული წარმატებები, აგრეთვე ყოველმხრივ უჩვენონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა გაზრდილი ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონე, მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება.

15. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები მოქმედ ტიპობრივ

დებულებებში საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოების, წყალთა და სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის“ საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

| სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- | --- |
| **ლ. ბრეჟნევი.** | **ა. კოსიგინი.** | **ა. შელეპინი.** |

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1971 წლის 14 აპრილის № 222 დადგენილების დანართი

## დღიური სატარიფო განაკვეთები

მემანქანე ტრაქტორისტებისა, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებში, წყალთა მეურნეობის საწარმოებში (გარდა მშენებლობაზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტებისა), სატყეო მეურნეობის და „სოფლტექნიკის" საწარმოებში

(მანეთობ. და კაპიკობ.)

| | თანრიგები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI |
| დროის მიხედვით მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტები | | | | | | |
| I ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 2,99 | 3,36 | 3,78 | 4,26 | 4,78 | 5,38 |
| II ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 3,36 | 3.78 | 4.26 | 4,78 | 5.38 | 6,06 |
| III ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 3.64 | 4.09 | 4.60 | 5.18 | 5.82 | 6.55 |
| ნარდად მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტები | | | | | | |
| I ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 3.23 | 3,64 | 4,09 | 4,60 | 5,18 | 5,82 |
| II ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 3.64 | 4,09 | 4,60 | 5,18 | 5,82 | 6.55 |
| III ჯგუფი . . . . . . . . . . . . | 3,93 | 4,43 | 4,98 | 5.60 | 6,30 | 7,08 |

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**43** სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების დასაჯილდოებლად არსებული პრემიების საერთო რაოდენობის გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 7 მარტის № 143 დადგენილებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების დასაჯილდოებლად დაწესებულმა გარდამავალმა წითელმა დროშებმა და ფულადმა პრემიებმა დიდად შეუწყო ხელი სასოფლო (სადაბო) საბჭოების როლისა და ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას, გააქტიურა და გააუმჯობესა მათი საქმიანობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იმ სასოფლო და სადაბო საბჭოების წახალისების მიზნით, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ გეგმიან დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 5 გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია თითო 250 მანეთის ოდენობით, 5 მეორე პრემია თითო 150 მანეთის ოდენობით და 5 მესამე პრემია თითო 100 მანეთის ოდენობით.

ძალაში დარჩეს სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების მუშაკებისა და ამ საბჭოების აქტივისათვის პრემიების მიცემის წესი, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 143 დადგენილების მე-2 პუნქტით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების მუშაკთა დასაჯილდოებლად საჭირო სახსრების გამოყოფისას იხელმძღვანელოს ამ დადგენილების პირველი პუნქტით.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.** |

## 44 სოფლის ჯგუფური წყალსადენებისათვის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და 1971 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდეს ტარიფები საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენებიდან მიწოდებულ სასმელ წყალზე, მოსახლეობისათვის დაწესებული მოქმედი ტარიფების შეუცვლელად, დანართის თანახმად.

დაევალოთ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს მისცენ ერთიანი მითითება შესაბამის რაიონებს ზემოაღნიშნული წყალსადენებიდან მომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის საფასურის გადახდის წესის შესახებ.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება და სოფლის წყალსადენების მთავარ სამმართველოს 1971 წლის თავისუფალი საამორტიზაციო თანხების ხარჯზე 167 ათასი მანეთით შეუმცირდეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის ასიგნებანი ბიუჯეტიდან, ხოლო საკუთარი სახსრების ნორმატივის დასაფარავად მიეცეს მას რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 65 ათასი მანეთი და მოგებიდან — 20 ათასი მანეთი.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1971 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსში.

117/9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 10 მაისი, № 260

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წ. 10 მაისის № 260 დადგენილების
დანართი

# ტ ა რ ი ფ ე ბ ი

## სოფლის ჯგუფური წყალსადენების სასმელ წყალზე

| წყალსადენების ტერიტორიული (ჯგუფური) სამმართველოების დასახელება | წყალსადენების დასახელება | ტარიფები 10 კუბ. მ. მან. კაპ. | |
|---|---|---|---|
| | | მოსახლეობისათვის | დანარჩენი მომხმარებლებისათვის |
| გარდაბნის | ბადიაურის | 0—60 | 1–26 |
| | სართიჭალის | 0—60 | 1—26 |
| გორის | ატენის | 0—40 | 1—44 |
| | ვანათის | 0–40 | 1–19 |
| | ქვახვრელის | 0—40 | 1—33 |
| | ხიდისთავის | 0—40 | 0—93 |
| წნორის | ალაზნის | 0–80 | 1—43 |
| | ბოდბის | 0—80 | 1—40 |
| | ნუკრიანის | 0–80 | 1—30 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

## 45 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 20 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 20 დადგენილებისა „იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სამასალე მერქნის მიყიდვის წესის შესახებ, რომლებმაც კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები გაგზავნეს ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის დაცურების სამუშაოებზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 452 დადგენილების მე-4 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი;

ბ) „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 დეკემბრის № 653 დადგენილების 37 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მე-4 და 6 აბზაცები.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 20 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია პუნქტი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 მაისის № 618 დადგენილებისა „სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებაზე კოლმეურნეთა და საპაპანო ტრანსპორტის მოზიდვისა და გამოყენების მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 ივნისის № 298 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ღ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 18 მაისი, № 269

## 46 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილებისა „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სამსხმელო წარმოების საჭიროებისათვის საყალიბო და შემკვრელი მასალების წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების და მისი გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აგვისტოს № 498 დადგენილების 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი;

ბ) „პირუტყვის გადამუშავების, ხორცისა და სხვა სწრაფფუჭებადი პროდუქტების დაბინავების და მაცივრების მშენებლობის დაჩქარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 სექტემბრის № 548 დადგენილების მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 მაისის № 355 დადგენილების მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მოქმედების გავრცელების ნაწილში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია:

ა) „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 851 დადგენილების 11 პუნქტი დანართისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებასთან ერთად;

ბ) „პუნქტი 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1552 დადგენილებისა „მშენებლობაში დაგეგმვის მოწესრიგების, სამეურნეო ანგარიშის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 ოქტომბრის № 586 დადგენილებასთან ერთად;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 746 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის დაფინანსების წესების 35 პუნქტის ქვეპუნქტი „ე“. დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ოქტომბრის № 1652 განკარგულებასთან ერთად;

დ) პუნქტი 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილებისა „სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად დამატე-

ბით გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 18 ივლისის № 896 განკარგულებასთან ერთად;

ე) „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების მე-8 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“. დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებასთან ერთად;

3. შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ა) „სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად დამატებით გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილების მე-6 პუნქტში სიტყვები „მიმდინარე წლის IV კვარტალში“ — შეცვლილია სიტყვებით: „წლის განმავლობაში“;

ბ) „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილებაში „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“:

— მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვების — „შეიძლება აწარმოონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა“ — შემდეგ დამატებულია სიტყვები „მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე და მხოლოდ წინა წლის გეგმის შესრულების შედეგებთან დაკავშირებით“;

— მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიტყვები „მიმდინარე წლის IV კვარტალში“ შეცვლილია სიტყვებით „წლის განმავლობაში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 18 მაისი. № 270.

## 47 რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მათი რაციონალურად განლაგების ღონისძიებათა შესახებ

„საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 658 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რაციონალურად განლაგების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებისა და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტთა უფრო ხარისხიანად მომზადების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ზოგიერთი მცირე და ისეთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების გაერთიანება, რომლებსაც არა აქვთ შემდგომი განვითარების პერსპექტივა:

ლაგოდეხისა და წნორისა — 1973 წელს;
აბაშისა და ცხაკაიასი — 1973 წელს;
დუშეთისა და წინამძღვრიანთკარისა — 1973 წელს;
ქედისა და ბათუმისა — 1974 წელს;
ცაგერისა და ამბროლაურისა — 1975 წელს;

2. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის 1972-1975 წლების გეგმაში საწარმოო და საბინაო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისათვის იმ ლიმიტების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია ხუთწლეულისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით.

3. სასოფლო მშენებლობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა მიიღონ ზომები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების შენობათა დროულად და ხარისხიანად მშენებლობისათვის.

4. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, შესაბამისი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ მოსწავლეთა და პედაგოგთა გადაყვანა გაუქმებული ტექნიკუმებიდან გამსხვილებულ ტექნიკუმებში, აგრეთვე პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის შრომითი მოწყობა.

5. ტექნიკუმების გაერთიანება მოხდეს სასწავლო კორპუსების, საერთო საცხოვრებლების, საცხოვრებელი და დამხმარე სადგომების მშენებლობის დამთავრების მიხედვით, ამასთან შესაბამისად გადიდდეს მათი მისაღები კონტინგენტი.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მიიღონ ზომები, რათა სამუშაოზე შეინარჩუნონ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებული სპეციალისტები, სწორად გამოიყენონ ისინი და შეუქმნან მათ საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 20 მაისი, № 286

## 48 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — დაემატოს შემდეგი პუნქტები:

„126. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის სახლები;

127. ფირმა „საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის« საცხოვრებელი სახლები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 27 მაისი, № 298

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 49 ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და საწარმოო სიმძლავრეთა (ფონდების) გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულია ახალი ტექნიკის დანერგვის 350-ზე მეტი ღონისძიება, აქედან 330 ღონისძიება — 25 ავეჯისა და ხის დამამუშავებელ საწარმოში. ახალი ტექნიკის დანერგვისაგან მიღებული ეკონომიური ეფექტი შეადგენს 1600 ათას მანეთს.

ტექნოლოგიური მოწყობილობის 2063 ერთეულიდან 40 პროცენტი შეცვლილია ახალი, თანამედროვე მოწყობილობით, რომლის საერთო ღირებულება 1680 ათას მანეთს უდრის.

აშენებულია 20 ახალი და მოდერნიზებულია 34 საშრობი კამერა, გაუმჯობესდა შრობის რეჟიმი, გაორკეცდა საშრობი მეურნეობის სიმძლავრე. ფარისებრი კონსტრუქციებისა და ელემენტებისაგან ავეჯის წარმოებამ საშუალება მოგვცა 30 პროცენტით შეგვემცირებინა ხე-ტყის მასალის ხარჯვა; ავეჯის გამოყვანის მთელ სამუშაოთა 80 პროცენტი სრულდება ჩასხმის მეთოდით, ნაცვლად პულვერიზაციისა, რასაც წინათ იყენებდნენ; მოფანერვის პროცესები მექანიზებულია 100 პროცენტით, ხოლო ფარისებრი კონსტრუქციების აწყობისა — 60 პროცენტით. შემცირდა ხელით შრომა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო ოპერაციები მექანიზებულია სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში 76 პროცენტით, ხის დამამუშავებელ საწარმოებში — 72 პროცენტით და ავეჯის საწარმოებში — 78 პროცენტით.

შრომის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით განხორციელდა ძელური შავი ნამზადის წარმოების პროცესები ბზიბის, მცხეთისა და თბილისის ხის დამამუშავებელ კომბინატებში, პროდუქციის დამუშავებისა და გამოყვანისას ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება — მარელისისა და თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკებში.

ნაწილობრივ მოეწყო ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის, ქუთაისის და თბილისის № 3 ავეჯის ფაბრიკების საგნობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია.

მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცა სიმძლავრე, რომელიც 8,8 მილიონი მანეთის ავეჯს დაამზადებს. ამჟამად სამინისტროს ეს სიმძლავრენი გამოყენებულია 87,8 პროცენტით და ნავარაუდევია იმისათვის, რომ გამოუშვან 40,8 მილიონი მანეთის პროდუქცია.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სამინისტროს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს 1966-1970 წლების გეგმა და 1970 წლის 1 ნოემბრისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 9 მილიონზე მეტი მანეთის პროდუ-

ქცია. ავეჯის წარმოება გაიზარდა 56.7 პროცენტით, პარკეტისა — 47,2 პროცენტით, გარანდული შპონისა, — 41 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება და წარმოების მოცულობა ყოველწლიურად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა 31,6 პროცენტით, ხოლო წარმოების მოცულობა — 30 პროცენტით.

პროდუქციის ზრდა შეადგენს 78,5 პროცენტს. ეს მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. პროდუქციის თვითღირებულების ეკონომია შეადგენს 105 ათას მანეთს.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ სამინისტროს ხის დამმუშავებელ და ავეჯის საწარმოებში 700 ერთეული მორალურად მოძველებული პოზიციური მოწყობილობა შეიცვალოს ახალი და დიდადმწარმოებლური ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზებით, რომელთა საერთო ღირებულება 4764 ათას მანეთს უდრის.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების საქმეს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ჯერ კიდევ დაბალია წარმოების ტექნიკური დონე, უმეტეს საწარმოებში არ მოიპოვება ნახევრადავტომატური ტექნოლოგიური ხაზები, საწარმოო პროცესები ხორციელდება პოზიციურ მოწყობილობაზე, ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არის გამოცვლილი მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობა, არ დამთავრებულა საწარმოების სპეციალიზაცია.

ცუდად არის გამოყენებული საწარმოო სიმძლავრენი ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკაში, თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადში" და ყველა ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოში.

მთლიანად სამინისტროს ხაზით მუშათა დენადობა 1970 წელს შეადგენდა 25,8 პროცენტს.

განსაკუთრებით ცუდადაა ფონდამონაგების საქმე ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში. უმნიშვნელოდ გამოყენებულია რეზერვები. ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსამზადებელ-დამხმარე სამუშაოები, ხე-ტყის დამზადება წინ უსწრებს ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობას.

სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს თანამედროვე აღჭურვილობა, არატიპობრივი მოწყობილობა, მაგრამ მათი დამზადება არ წარმოებს საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზის უქონლობის გამო; სრულად არ არის გამოყენებული წარმოების რეზერვები, დაბალია ცვლიანობისა და სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი: არასაკმაოდ ინერგება პროგრესული ტექნოლოგია და ახალი მასალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) განახორციელოს ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფისა და საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან იხელმძღვანელოს იმ ამოცანებით, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ;

ბ) მიიღოს ზომები, რათა ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა, დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგია და გეგმაზომიერად შეიცვალოს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობა თანამედროვე დიდად მწარმოებლური მოწყობილობით, მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპს;

გ) 1975 წლის დამლევისათვის აიყვანოს ავეჯის წარმოების სიმძლავრე 80.6 მილიონ მანეთამდე და უზრუნველყოს 64 მილიონი მანეთის ავეჯის გამოშვება, რისთვისაც განახორციელოს არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია და გაფართოება, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი და ახალი მშენებლობა;

დ) ძირითადად დაამთავროს 1972-1973 წლებში ავეჯისა და ხის დამმუშავებელი საწარმოების საგნობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია, მოაწყოს ამ საწარმოებში საამწყობო-საგამომყვანო წარმოებანი, აგრეთვე ავეჯის ნახევარფაბრიკატების (ძელურის დეტალების, გრეხილშეწებილი ელემენტებისა და ლითონის კარკასების) წარმოება;

ე) აამაღლოს საწარმოო და შრომის დისციპლინა საწარმოებში, გაადიდოს მუშაობის ცვლადობა, მიიღოს ზომები კადრების მომზადებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ვ) აამაღლოს სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სპეციალური საპროექტო-ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო ბიუროს როლი წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და სრულყოფაში, ხელით შრომის მაქსიმალურად შემცირებაში, ახალი თანამედროვე მოდელის ავეჯის და ხის დამუშავების პროდუქციის შექმნაში;

ზ) 1972 წლის დამლევამდე შექმნას თბილისის ხის დამმუშავებელი ქარხნის ბაზაზე ლითონის კარკასებისა და არასტანდარტული მოწყობილობის დასამზადებელი საკუთარი წარმოება;

თ) გააუმჯობესოს ტყესაკაფის ტრანსპორტის მდგომარეობა, უზრუნველყოს მოზარდი ტყის მაქსიმალური შენარჩუნება, მოსამზადებელი სამუშაოების დროზე შესრულება და ტყის საზიდი გზების მშენებლობა;

ი) სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინოს წინადადებანი ავეჯის ფურნიტურის და არასტანდარტული მოწყობილობის ნომენკლატურის შესახებ მისი დამზადების შეკვეთების მისაცემად.

2. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროებმა ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის მანქანათსაშენებელ საწარმოებში ავეჯის ფურნიტურისა და არასტანდარტული მოწყობილობის დამზადების შესახებ.

3. ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და თბილისის სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი თბილისის სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის მოწყობის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრს რწმუნებულის სამმართველოს მოაწყოს 1972 წელს ქ. თბილისში გამოფენა უცხოეთის საავეჯო ინდუსტრიის მიღწევების გაცნობისა და თანამედროვე მაღალმწარმოებლური მოწყობილობის შეძენის მიზნით.

5. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მიიღოს ზომები გამოშვებული ავეჯის ფურნიტურის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის და მკაცრი სასჯელი დაადოს იმ პირებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით უხარისხო პროდუქციის წარმოებაში.

6. „საქმთავარმომარაგებამ“:

ა) 1971 წლის პირველი ნახევრის დამლევამდე გაათავისუფლოს მიწის ნაკვეთი, რომელიც თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის ტერიტორიას ეკვრის;

ბ) უზრუნველყოს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მოთხოვნილება ახალ პროგრესულ მასალებზე (პოლიეფირული ლაქები, ელასტიკური მასალები, მჭრელი ინსტრუმენტები მაგარი შენადნობებისაგან და სხვ.) მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.

7. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მიიღოს კონკრეტული ზომები, რათა გაუმჯობესდეს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების მომარაგება ავტოხეტყისსაზიდი მანქანებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 28 მაისი, № 301

# 50 შრომისუნარიანი ასაკის არამომუშავე და არამოსწავლე მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის შესახებ

შრომითი რესურსების შემდგომი ღრმა შესწავლის, მუშახელის დამატებითი წყაროების დროულად გამოვლინებისა და მათი რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე იმ მოსახლეობის აღრიცხვისა და ინფორმაციის დაყენების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია იმ მოსახლეობის გეგმაზომიერი შრომითი მოწყობა, რომელიც არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მოზიდულ იქნენ ქალები საზოგადოებრივ წარმოებაში და ახალგაზრდობა — პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი, რომ შეიქმნას ქ. სოხუმსა და ბათუმში მოსახლეობის ინფორმაციისა და შრომითი მოწყობის ბიურო ხარჯთდაფარვადობის საფუძველზე იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრებით, რომლებიც მუშახელს საჭიროებენ.

3. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972—1973 წლების გეგმის და ბიუჯეტის პროექტებში, რომ გამოეყოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს რაიონული რწმუნებულების საშტატო ერთეულები ამ კომიტეტის წარდგენის თანახმად.

4. რჩევა მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შექმნან აღმასკომებთან მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიები, ამასთან შეიყვანონ ამ კომისიების შემადგენლობაში შრომითი რესურსების ორგანოების მუშაკები, საწარმოთა, დაწესებულებათა წარმომადგენლები და კომისიების ხელმძღვანელობა დააკისრონ აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეებს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ წარუდგინოს 1971—1972 წლებში რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს მოსახლეობის 1970 წლის აღწერის შედეგების დამუშავების მონაცემები რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მიხედვით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან მათი მიღების კვალობაზე.

6. საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა მოზიდვისათვის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა გაითვალისწინონ 1972—1975 წლებში საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება იმ რაიონებში, რომლებსაც ჭარბი

მუშახელი ჰყავთ, ამასთან მხედველობაში იქონიონ საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილება მუშათა კადრებზე.

7. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმშენმა, სამინისტროებმა და უწყებებმა განსაზღვრონ ახალი საწარმოების მშენებლობის და მოქმედი საწარმოების გაფართოების ადგილები შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დასკვნის გათვალისწინებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს მუშაობა იმ შრომისუნარიანი მოსახლეობის გამოვლინებისა და შრომითი მოწყობისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც არ არის დასაქმებული საზოგადოებრივ წარმოებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 4 ივნისი, № 307

## 51 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 აგვისტოს № 530 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 მარტის № 201 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 მაისის № 591 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 აგვისტოს № 530 დადგენილების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ".

II. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 მარტის № 201 დადგენილებით:

1. ძალადაკარგულად ცნობილია:

ა) პუნქტი 27 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1552 დადგენილებისა „მშენებლობაში დაგეგმვის მოწესრიგების, სამეურნეო ანგარიშის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახარჯთაღრიცხვო საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 ოქტომბრის № 586 დადგენილებასთან ერთად;

ბ) პუნქტი 23 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 აგვისტოს № 1548 დადგენილებისა „მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 13 ოქტომბრის № 1292 განკარგულებასთან ერთად.

2. დადგენილია, რომ:

ა) თუ მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ანგარიშებზე არ მოიპოვება სახსრები იმ მასალების ასანაზღაურებლად, რომლებიც შემკვეთებმა დადგენილი წესით უნდა გადასცენ მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, ამ მასალების ღირებულება ბანკმა უნდა დაუკავოს შემკვეთთა დავალებით შესრულებული სამუშაოებისათვის მოიჯარე ორგანიზაციათა ანგარიშების განაღდების დროს;

ბ) სამეურნეო წესით წარმოებული მშენებლობის მიერ მიღებული ეკონომია იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომლებიც ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით აიაფებენ მშენებლობას ნაგებობათა სიმკვიდრისა და საექსპლოატაციო ხარისხის შეუმცირებლად (სამუშაოთა წარმოების მეთოდების შეცვლა, მასალების გამოცვლა, კონსტრუქციებისა და სხვა ტექნიკურ გადაწყვეტათა შეცვლა), ჩაითვლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის და მათი თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებაში.

3. სსრ კავშირის „სახმშენს“ დაევალა დაინტერესებული სამინისტროების მონაწილეობით შეიტანოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალური მშენებლობის იჯარის მოქმედ ტიპობრივ ხელშეკრულებებში ცვლილებანი, „კაპიტალური მშენებლობის იჯარის ხელშეკრულებათა წესების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 8 ივნისი, № 310

## 52 ქალაქების, დაბებისა და დასახლებულ პუნქტების გაზმომარაგების უსაფრთხოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ

ქალაქების, დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გაზმომარაგების უსაფრთხოების შემდგომი გადიდების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ საპროექტო ორგანიზაციებს საცხოვრებელი სახლებისა და შენობების სარდაფებსა და ტექნიკურ იატაკქვეშეთებში გაზსადენების სატრანზიტო გაყვანის გათვალისწინება პროექტებით.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა:

ა) უახლოესი 2—3 წლის განმავლობაში უზრუნველყონ საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში ყველა მიწისქვეშა კომუნიკაციის (თბოტრასები, კანალიზაცია, წყალსადენი და სხვ.) შეყვანილობების გულმოდგინე ჰერმეტიზაცია, რაც გამორიცხავს გაზის შეღწევას სარდაფებსა და ტექნიკურ იატაკქვეშეთებში, და ამიერიდან არ დაუშვან საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში მიწისქვეშა კომუნიკაციების შეყვანილობათა გადაცემა საექსპლოატაციოდ ისე, თუ არ მოხდა მათი გულმოდგინე ჰერმეტიზაცია;

ბ) შესაძლებლობა მისცენ გაზის მეურნეობებს აწარმოონ ქუჩების სავალ ნაწილზე შურფვა მიწისქვეშა გაზსადენების მდგომარეობის შესამოწმებლად.

3. იმ ქალაქების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის გამო, რომლებიც ბუნებრივ გაზს იღებენ, საქართველოს სსრ „მთავარგაზმა" გაითვალისწინოს საავარიო სამსახურების შენობათა აგება და აღჭურვოს ეს სამსახურები ტრანსპორტით, მექანიზმებით, მოწყობილობითა და ინვენტარით.

4. „მთავარგაზმა" და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

ა) ვადამდე დაამთავრონ 1974 წელს მოქმედი ნორმებისაგან გადახვევით 1971 წელს დაგებული იმ გაზსადენების გამოცვლა, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ცვეთა;

ბ) უზრუნველყონ გაზის წყალსათბობების დემონტაჟი იმ სახლებში, სადაც განხორციელებულია ცენტრალიზებული წყალმომარაგება;

გ) გააძლიერონ მომთხოვნელობა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების მხრივ იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისადმი, რომლებიც გაზიფიკაციას ახორციელებენ.

5. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

ა) უზრუნველყოს გაუქმებული საქვაბეების გაზის შეყვანილობათა დემონტაჟი იმ საცხოვრებელი სახლებისა და შენობების სარდაფებში, რომლებიც გადაყვანილია ცენტრალიზებულ გათბობასა და ცხელი წყლით მომარაგებაზე 1971 წელს;

ბ) დააჩქაროს იმ საცხოვრებელი სახლებისა და შენობების ცენტრალიზებულ თბომომარაგებასა და ცხელი წყლით მომარაგებაზე გადაყვანის პროცესი, რომლებიც ამჟამად თბოფიცირებული არიან ინდივიდუალურად ჩაშენებული საქვაბეებიდან, ამასთან მოახდინოს გაზგაყვანილობათა დემონტაჟი სარდაფებში.

6. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მიიღონ ეფექტიანი ზომები მოხეტიალე დენის ნასხლეტის შეზღუდვისათვის, უზრუნველყონ, რომ რელსიანი ლიანდაგები, რომლებიც ეწევიან ელექტრიფიცირებული ტრანსპორტის კაბელების გამოწოვას და აწესრიგებენ წევის ქვესადგურების მოწყობილობებს, შეესაბამებოდნენ მოხეტიალე დენის ნასხლეტის შეზღუდვის სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს.

7. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მიიღოს გადამწყვეტი ზომები ბალონების დამზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

8. დამტკიცდეს „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაზის ქსელების დაცვის წესები", დანართის თანახმად.

9. „მთავარგაზმა" განაგრძოს მოსახლეობაში გაზის გამოყენების უსაფრთხოების წესების ფართო პროპაგანდა.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო ტექნიკურმა ზედამხედველობამ და საქართველოს სსრ „მთავარგაზმა" სისტემატური კონტროლი გაუწიონ გაზის გამოყენებისა და გაზმომარაგების სისტემების ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოების წესების დაცვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 17 ივნისი, № 327.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 17 ივნისის № 327 დადგე-
ნილების დანართი

# წ ე ს ე ბ ი

## გაზის ქსელების დაცვისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე

1. ეს წესები შემოღებულია გაზის ქსელების დაცვის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც ამ ქსელების დაზიანება არღვევს ნორმალურ გაზმომარაგებას, ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას და შეიძლება გამოიწვიოს ავარიები და უბედური შემთხვევები.

2. ეკრძალება ყველა ორგანიზაციას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რაიმე ისეთი სამუშაოების წარმოება, რომლებმაც შეიძლება დააზიანონ გაზის ქსელები და დაარღვიონ შეუფერხებელი და უსაფრთხო გაზმომარაგება.

3. საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობებს აპროექტებენ, მოვალენი არიან პროექტის გამოშვებამდე შეათანხმონ იგი გაზის იმ მეურნეობებთან, რომელთა მოქმედების ზონაში პროექტდება ნაგებობა (კალკზე სათანადო გადატანით).

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა არ გასცენ ნებართვა რაიმე მიწისქვეშა ან მიწისზედა სამუშაოთა წარმოების შესახებ ისე, თუ ამ სამუშაოთა წარმოება არ იქნა შეთანხმებული გაზის შესაბამის მეურნეობებთან.

5. სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ მიწის, საგზაო, ბურღვის, სამშენებლო სამუშაოებს, კანალიზაციისა და წყალსადენების მშენებლობის სამუშაოებს, კაბელის, რელსიანი ტრანსპორტის ნაგებობათა დაგებას, ნაგებობათა და შენობათა აღების სამუშაოებს, — ამ სამუშაოებს განახორციელებენ მას შემდეგ, რაც:

ა) გაფორმდება მიწის სამუშაოთა წარმოების ნებართვა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში და მიღებული იქნება გაზის მეურნეობის წერილობითი დასტური მოცემულ უბანზე სამუშაოთა წარმოების შესაძლებლობისა და მისი პირობების შესახებ;

ბ) წინასწარ (სამუშაოთა დაწყებამდე ერთი დღით ადრე) გაფრთხილებული იქნება ტელეფონოგრამით გაზის შესაბამისი მეურნეობა, სამუშაოთა წარმოების ზუსტი მისამართისა და ადგილის აღნიშვნით.

6. არ შეუდგენენ სამუშაოებს მანამ, ვიდრე ადგილზე არ მოვა გაზის მეურნეობის წარმომადგენელი.

7. სამუშაოთა მწარმოებელმა თან უნდა იქონიოს ადგილზე შეთანხმებული ნახაზები და სამუშაოთა წარმოების ნებართვა, მტკიცედ დაიცვას პროექტის შეთანხმების დროს გათვალისწინებული პირობები და გაზის მეურნეობის წარმომადგენლის დამატებითი მითითებანი.

8. ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მოვალენი არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გაზსადენების უშუალო სიახლოვეს სამუშაოთა წარმოების დროს უზრუნველყონ გაზის ქსელების და ამ ქსელებზე არსებული ნაგებობების დაცვა-შენახვა ორგანიზაციის ძალებითა და საშუალებებით;

ბ) სამუშაოთა წარმოების დროს მიწისქვეშა გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი მოვალეა: დაუყოვნებლივ შეაჩეროს მუშაობა ამ უბანზე, დააყენოს მცველი, აცნობოს ეს გაზის მეურნეობას, საპროექტო ორგანიზაციას და მათი წარმომადგენლების მოსვლამდე არ განაახლოს მუშაობა.

9. გარეშე ორგანიზაციებსა და პირებს კატეგორიულად ეკრძალებათ:

ა) მუდმივი და დროებითი ნაგებობების აშენება მიწისქვეშა ქსელების ტრასებზე, მასალების დაწყობა და დაშტაბელება, ბაგვის, თოვლის დაყრა, აგრესიული სითხეების, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გადაღვრა, ხეების ან ბუჩქნარების დარგვა, აგრეთვე რაიმეს დაყრა იმ მანძილზე უფრო ახლოს, რომელიც რეგლამენტირებულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით;

ბ) გაზსარეგულატორო პუნქტებთან, სადგურებთან მისასვლელებისა და გასასვლელების გადაღობვა.

გ) გაზის ქსელების მონტაჟის წარმოება, გაზის ხელსაწყოების დაყენება და მათი ჩართვა გაზის ქსელებში გაზის მეურნეობასთან შეუთანხმებლად და სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებისაგან ამ სამუშაოთა წარმოების შესახებ ნებართვის მიუღებლად;

დ) ისეთი მოქმედება, რასაც შეუძლია ქსელებისა და მათზე გაშენებული ნაგებობების დაზიანება, როგორიცაა: გაზსადენების საყრდენების გაფუჭება, გაზსადენების გამოყენება საყრდენებად, გარეგანი სამაგრების მოგლეჯა და ა. შ;

ე) რაიმე საგნების თვითნებურად მიდგმა გარეგან გაზსადენებზე, გაღება და სახურავების ახდა გაზის ჭების საძრომებისა, კოვერებისა და საცავი ყუთებისათვის, ჩამკეტი მოწყობილობების ჩართვა და გამორთვა, გარდა ავარიული შემთხვევებისა;

10. სამუშაოთა წარმოების დროს გაზის ქსელისა და გაზის მეურნეობათა მოწყობილობის დაზიანების ყველა შემთხვევაში ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით დაზიანებაში, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, ხოლო ისეთი დაზიანებისათვის, რაც მძიმე შედეგებს იწვევს, ისინი მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში.

11. მოწყობილობის, არმატურის, ხელსაწყოებისა და. ა. შ. განზრახ დაზიანებისა და დატაცების შემთხვევაში დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში კანონით დადგენილი წესით.

12. გაზსადენებისა და გაზის მოწყობილობის დაზიანების შესახებ აქტებს შეადგენს გაზის მეურნეობის ადმინისტრაცია სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოების წარმომადგენლებისა და დამნაშავე პირის მონაწილეობით.

როდესაც დამნაშავე უარს განაცხადებს აქტის ხელმოწერაზე, ეს აქტი გაფორმებულად ითვლება, თუ მას ექნება გაზის მეურნეობის ადმინისტრაციისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის წარმომადგენლების ხელმოწერა.

13. ამ წესების დარღვევაში დამნაშავე მოქალაქენი დაჯარიმდებიან 10 მანეთამდე, ხოლო თანამდებობის პირები — 50 მანეთამდე. დაჯარიმების საკითხს განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1971 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$.
საბეჭდი თაბახი 2,5 სააღრიცხვო თაბახი 2,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა 688 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.